

თავად განსაჯეთ: თვითკონფრონტი თუ სახელმწიფო კონფრონტი?

პრეზული მოამზადა
ტომ პალმერმა

საჩართველოს უნივერსიტეტის
გამომცემლობა
2019

**კრებული მოამზადა ტომ პალმერმა
თავად განსაჯეთ:
თვითონფიროლი თუ სახელმწიფო კონფიროლი?**

სარედაქციო საბჭო:
პაატა შეშელიძე (აკადემიური რედაქტორი), გია ჯანდიერი, გიორგი ჩიქოვანი,
გიორგი ჩხილაძე, კონსტანტინე თოფურია

თარგმნა დიმიტრი გამყრელიძემ

რედაქტორი ელიო შოშიტაშვილი
ყდას დიზაინერი მიშა აბესაძე
დამკაბადონებლები: ნინო დვალიშვილი
რეზო თხილიშვილი

გამოცემა მომზადებულია ახალი ეკონომიკური სკოლა — საქართველოს; ეკონომიკური თავისუფლების ინსტიტუტის, საქართველო; ატლასის ქსელის, აშშ და საქართველოს უნივერსიტეტის თანამშრომლობით.

საქართველოს უნივერსიტეტის გამოცემლობა
მერაბ ქოსტავას გამზირი 77ა, თბილისი
ელფონტი: info@ug.edu.ge

ISBN 978-9941-9644-0-4



Edited by Tom Palmer

Self-control, or State-control? You decide.

Editorial board:

Paata Sheshelidze (academic editor), **Gia Jandieri**, **George Chikovani**, **George Chkhikvadze**, **Konstantine Topuria**.

Translated by **Dimitri Gamkrelidze**

Publication prepared in cooperation of New Economic School – Georgia; Institute of Economic Freedom – Georgia; Atlas Network, USA; University of Georgia, Georgia.

The University of Georgia Publishing House
www.ug.edu.ge

სარჩევი

მიძღვნა	7
ქართული გამოცემის აკადემიური რეფაქტორის წინასიტყვაობა	9
ტომ პალმერის წინასიტყვაობა.....	12
1. ტომ პალმერი	19
დიდი არჩევანი.....	19
პასუხისმგებლობა და თავისუფლება	21
თავისუფლება და კანონის პატივისცემა	27
თავისუფლება თუ ნებართვა?	32
2. ჯონ ტიერნი	37
როგორ ხსნის ტვინში მიმდინარე ქიმიური რეაქციები	
თავისუფლებას და როგორ გვეხმარება მის გააზრებაში.....	37
ბოლოკი, ბოკოლატი და გლუკოზა	45
ხასიათის გაწვრთნა	51
თავისუფალი საზოგადოება და მისი მეგობრები.....	56
3. ლისა კონიერსი	66
ცხოვრება ძიძასახელმწიფოში: როგორ მოქმედებს სოციალური	
დახმარების პროგრამა კუთილლეობის მიმღებებზე.....	66
კუთილლეობის სახელმწიფოს მოქლე ისტორია.....	68
როგორც მეშაობს სოციალური დაცვა.....	72
სოციალური დაცვის პროგრამების დანახარჯები	
ჯანმრთელობაზე.....	78
დაპირისპირება სოციალური დახმარების მიღებასა და მეშაობას	
შორის	80
სამუშაო და ბეჭრიერება	83

4. ჯეფრი მაირონი	89
ამართლებს თუ არა მომხმარებლის ირაციონალურობა ნარკოტიკებთან ბრძოლას?	89
ნარკომანიასთან ბრძოლის შესახებ მსჯელობის კონტექსტი.....	91
რამდენად სასურველია აკრძალვის პოლიტიკა?.....	97
დასკვნა.....	103
 5. ლინ კისლინგი.....	105
პასეხისმგებლობა და გარემო.....	105
შესავალი	106
რა არის საკუთრების უფლება?.....	108
საკუთრებაზე დაფუძნებული გარემოს დაცვითი პოლიტიკა	
მოქმედებაში.....	115
დასკვნა.....	117
 6. სარა სუვაირი	119
პირველი პირი მხოლობითი რიცხვი: ლიტერატურა	
და პიროვნელი წინააღმდეგობა	119
 7. ფილიპ ბუთი, სტეფან დევისი	128
წესები და წესრიგი სახელმწიფოს გარეშე	128
სახელმწიფო კანონები თუ საბაზრო ინსტიტუტები?	133
დაგეგმვა სახელმწიფო მგეგმავების გარეშე:	
ბინათმშენებლობა და განვითარება.....	138
რეგულირება სამთავრობო რეგულირების გარეშე:	
საბანკო სისტემა და ფინანსები, ფინანსების	
თვითრეგულირება გაერთიანებულ სამეფოში	146
წესების დამუჯრებული ინსტიტუტები საფინანსო ბაზრებზე	151
დასკვნა.....	157
 8. ნიმა სანანცახი	159
კეთილდღეობის სახელმწიფო და პასეხისმგებლობის ეროვნია.....	159
რეზველტის ზრუნვის საგანი	161
გაეთვალისწინებული შედეგები.....	163
ლუთერანული ჩრდილოეთი.....	167

კეთილდღეობის სახელმწიფოები ეფუძნებიან ნორმებს	169
ქათამი თუ კვერცხი?.....	172
თვითდამაგრეველი კეთილდღეობის სახელმწიფოს თეორია	175
ნორმების ცვლას სჭირდება თაობები	176
სკანდინავიური სახელმწიფოების სოციალური დახმარების ნორმებიც კი თანხვეცრაშია რეზველტის პროგნოზთან	178
სკანდინავიური ქვეყნების პოლიტიკა მიმართულია მორიალის ეროვნის შებრუნებაზე.....	181
ახალი სოციალური ხელშეკრულებისკენ?.....	182
ნორმების შესუსტება ნავთობით მდიდარ კეთილდღეობის სახელმწიფოში.....	185
სოციალურად ღარიბთა ფენა.....	187
არსებობს კი ისეთი რამ, როგორიც ზედმეტი დახმარება?.....	189
გზა სიღარიბიდან თუ სიღარიბისკენ?	191
რეიგანიც და რეზველტიც მართლები იყვნენ.....	192
 9. ტომ პალმერი	194
თვითუონტროლი საზოგადოებასა და თემში	194
წმინდა რაციონალური პიროვნების მითი.....	200
ხომ არ არის პიროვნეული თავისუფლება და პასუხისმგებლობა ყულტურულად განსაზღვრული?.....	204
ინდივიდუალური თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ისტორიული განზომილებები	207
ისტორიული შემთხვევითობა	209
პიროვნება და მორალური/პოლიტიკური ინდივიდუალიზმი.....	211
ლიბერალური ინდივიდუალიზმის წარმოშობა.....	220
დასკვნა.....	227
 10. ტომ პალმერი	230
თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ფილოსოფიური პრობლემები	230
თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის დონეები	235
რამდენად შესაძლებელია მორალური პასუხისმგებლობა თავისუფლების გარეშე?.....	237

თავისუფლება და პასუხისმგებლობა საზოგადოებაში.....	242
რამდენად შესაძლებელია თავისუფლება სამყაროში,	
რომელიც მიზეზშედეგობრივი კავშირები ბატონობს?	244
პასუხისმგებლობა სხვების წინაშე	250
პასუხისმგებლობა შედეგზე.....	256
ემპირიული თავისუფლება უმაღლესი, ნამდვილი, ჭეშმარიტი თავისუფლების წინააღმდეგ	259
„უმაღლესი თავისუფლებიდან“ „კოლექტური მესაჟი“	261
11. ტომ პალმერი	273
საყუთარი თვითყონილობის გაძლიერება და გაუმჯობესება.....	273
სასარგებლო შენიშვნები და ხერხები თვითყონილობის განმტკიცებისთვის	278
ცხადად აზროვნება... და გონიერი ორმოებისთვის თავის არიდება.....	283
კრებულის შემდგენლის შესახებ	288
შენიშვნები.....	290



ქ რებული ეძღვნება დოქტორ ტიბო მაქანს

ტიბო მაქანი (1939-2016) ალაპამის შტატის ქ. ოუბურნის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დეპარტამენტის მიწვეული პროფესორი და კალიფორნიაში, ქ. ორენჯში ჩეპმენის უნივერსიტეტის არგიროსის სახელობის ბიზნესისა და ეკონომიკის სკოლის პროფესორი იყო. ის აგრეთვე იყო ქ. სტანდფორდის უნივერსიტეტის ჰუვერის სახელობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ქ. ირვინში მოქმედი კერძო მედიაკურმანის „Freedom Communications, Inc“-ის საჯარო პოლიტიკის მრჩეველი და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის აქტიური წევრი.

დოქტორი მაქანი 1939 წელს დაიბადა უნგრეთში. 1953 წელს, 14 წლის ასაკში, ტიბორმა გასაბჭოებული უნგრეთიდან თავის დაღწევა მოახერხა და 6-თვეიანი მოგზაურობის შემდეგ საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა.

1956 წელს მან ამერიკის საპატიო თავდაცვის ჯარებში დაიწყო სამსახური, სადაც დრამატულ წრეშიც გაერთიანდა. სწორედ აქ გაიცნო მისი თანამედროვე რუსულ-ებრაული წარმოშობის ამერიკელი მწერლის, ფილოსოფოსისა და საზოგადო მოღვანის აინ რანდის შემოქმედება, აღმოაჩინა პოლიტიკური ფილოსოფია „ობიექტივიზმი“, რამაც მთლიანად განსაზღვრა მისი ცხოვრების შეული თვალსაზრისი და შემდგომი კარიერა.

სამხედრო სამსახურის შემდეგ იგი სწავლას აგრძელებს. სანტა ბარბარას კალიფორნიის შტატის უნივერსიტეტში ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიიღო, პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო და ერთ-ერთ ყველაზე ნაყოფიერ ავტორად ჩამოყალიბდა.

მისი ღვაწლი თავისუფლების იდეებისა და ლიბერტარიანული პოლიტიკური ფილოსოფიის განვითარებაში 20-ზე მეტი წიგნით, ასობით პუბლიკაციით, სატელევიზიო ინტერვიუებითა და მრავალი გამოჩენილი მეცნიერის აღზრდით განისაზღვრება.

იგი ბევრს მოგზაურობდა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხე-ში უზიარებდა მსმენელებს საკუთარ, „ობიექტივისტურ“ ხედვას ფილოსოფიის სხვადასხვა საკითხსა და ბიზნესეთიკაზე.

დოქტორი ტიბორ მაქანი საქართველოში პირველად 2006 წლის ივლისში ჩამოვიდა. მან „ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოსა“ და ფრიდორის ნაუმანის ფონდის მიერ ბაკურიანში მოწყობილ საერთაშორისო სემინარში მიიღო მონაწილეობა. მსმენელებს აცნობდა თავის თვალსაზრისს თავისუფლებისა და რადიკალური ინდივიდუალიზმის, ობიექტივისტური ფილოსოფიისა და კერძო მესაკუთრეობაზე დაფუძნებული სამენარმეო ეთიკის პრინციპების შესახებ.

საქართველოში სტუმრობის შემდეგ ტიბორ მაქანმა დაწერა წიგნი „საქართველოში ნაკითხული ლექციები: პრინციპები, გარდამავალი პერიოდი და განვითარება“, რომელიც ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოსა და ნაუმანის ფონდის მიერ გამოიცა, და ამით საქართველოში თავისუფლების იდეების გავრცელებაშიც შეიტანა თავის წვლილი.

2007 წელს ის კიდევ ერთხელ ეწვია საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების ინტელექტუალური მხარდაჭერისთვის. მონაწილეობა მიიღო სემინარებში და გამართა საჯარო ლექციები. ტიბორ მაქანი სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებდა კავშირებს ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოსთან, მის ქართველ მსმენელებთან და მკითხველებთან, თვალს ადევნებდა ინფორმაციას ჩვენი ქვეყნის შესახებ და გულშემატკიცრობდა მას.

პაპატა შეგებიძე
ახალი ეკონომიკური სკოლა –
საქართველოს პრეზიდენტი

**ქართული გამოცემის
აკადემიური რედაქტორის წინასიტყვაობა**

ზნე-ხასიათის წვრთნა ზრდაა შინაგანის კაცისა, თუ ევრე ითქმის. რადგან შინაგანბა კაცისა მისი სულიერი ვინაობაა, მისი სულიერი ბუნებაა. მაშასადამე, წვრთნა ზნე-ხასიათის ზრდაა. გარკვევა მისი სულიერის ვინაობისა, სულიერის ბუნებისა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, მისის კაცობისა, ადამიანობისა.

ილია ჭავჭავაძე

2002 წლის ნობელის პრიზის მფლობელის დოქტორ ვერნონ სმითის აზრით, ტომ პალმერის მიერ მომზადებული კრებული „თავად განსაჯეთ: თვითკონტროლი თუ სახელმწიფო კონტროლი?“ შოტლანდიელი ფილოსოფოსისა და ეკონომიკური მეცნიერების მამამთავრად აღიარებული ადამ სმითის ნაშრომის „მორალური სენტიმენტების თეორიის“ ტრადიციებს აგრძელებს, სადაც თვითკონტროლი წარმოდგენილია, როგორც ადამიანთა დეცენტრალიზებული სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი და რომლის მიხედვით, სახელმწიფო კონტროლს არ ძალუდს ჩაანაცვლოს თვითკონტროლი თავისუფლებისა და ყოველივე იმის შეზღუდვის გარეშე, რაც არის ადამიანური, ბუნებრივი და ლალი, როგორც სოციური, ისე ეკონომიკაში.

ცხოვრება მუდმივად არჩევანს და მასზე პასუხისმგელობას გულისხმობს. ცხოვრება – სოციალურია, ხოლო ეს არჩევანი და პასუხისმგებლობა – პიროვნული. შესაბამისად, წარმატება, რაც საკუთარ თავზე ზრუნვასა და პირადი მიზნების მიღწევას

გულისხმობს, დამოკიდებულია ადამიანის მზაობაზე, ანგარიში გაუნიოს საზოგადოების სხვა წევრებს, ითანამშრომლოს მათ-თან, თავისი სამსახურით მუდმივად დაუდასტუროს კეთილმო-სურნეობა და მიღებული საზღაურით დაიცვას და სრულყოს სა-კუთარი თავისუფლება.

ჯანსაღი საზოგადოების საფუძველია იმის აღიარება, რომ მისი ყოველი წევრის სწრაფვა საკუთარი ბედნიერებისადმი შეუძლებელია სხვების ხარჯზე, რადგან ეს გარდაუვლად წარმოშობს ურთიერთდაპირისპირებებს და მკვეთრად შეზღუდავს რაციონა-ლური თანამშრომლობას შესაძლებლობას.

ამიტომ თავისუფლება ეფუძნება თვითკონტროლს – საკუ-თარი შესაძლებლობების გააზრებასა და რეალობისადმი ანგარი-შის განევას, ურთიერთსარგებელზე დაფუძნებულ სოციალურ თანამშრომლობას და არა თვითნებობასა და სხვებზე იძულებას.

ადამიანთა თანამშრომლობა ყოველთვის გულისხმობს გან-საზღვრულ რეგულაციებს, მაგრამ მთავარია მათი წყარო: არის ეს თავად ცალკეულ პირთა შეთანხმებები, რომელთაგან საუკეთესო შედეგები ხდება მიბაძვისა და გათავისების საგანი, მკვიდრდება და იხვენება, თუ გარკვეული შეხედულებების ერთიმეორისთვის თავზე მოხვევა იძულების წესით, მაგალითად, კანონმდებლობით ან პოლიტიკური დიქტატით?

ამგვარად, წინააღმდეგობა არის არა თავად რეგულაციების არსებობაში, არამედ მათი წარმოშობის წყაროში, მის ეფექტია-ნობაში დასახული ამოცანების შესრულებისას.

ფედერიკ ბასტიამ, რომელსაც ილია ჭავჭავაძე „გამოჩენილ ფრანციის ეკონომის“ უნიდებდა, ჯერ კიდევ 1850 წელს გამო-ქვეყნებულ შრომაში „კანონი“ დაწერა:

„სოციალიზმი, იმ თეორიების მსგავსად, რომლებ-საც ის ეფუძნება, მთავრობისა და საზოგადოების ცნებებს ერთმანეთში ურევს. მოკლედ, ყოველთვის, როცა მთავრობისა ამა თუ იმ ქმედებას ვეწინააღ-მდეგებით, სოციალისტები თვლიან, რომ საზო-

გადოდ ამ ქმედებას ვენინაალმდეგებით. ჩვენ არ ვამართლებთ სახელმწიფო განათლებას. ამ შემთხვევაში სოციალისტები აცხადებენ, რომ საერთოდ განათლების წინააღმდეგნი ვართ; არ ვამართლებთ სახელმწიფო რელიგიას. მაშინ ისინი ამბობენ, რომ საერთოდ ნებისმიერი რელიგიის წინააღმდეგნი ვართ; ჩვენ არ მივიჩნევთ სწორად სახელმწიფოს მიერ იძულებით თანასწორობას და ისინი აცხადებენ, რომ თანასწორობის მოწინააღმდეგენი ვართ და ა.შ. და ა.შ. ეს ისე უღერს, ბრალი რომ დაგვდონ, თითქოსდა არ გვინდა ადამიანები იყვებებოდნენ, რადგან არ გვინდა, მარცვლეული სახელმწიფოს მოჰყავდეს“.

თვითკონტროლისა და სახელმწიფო კონტროლის ავკარგის წინამდებარე განხილვა, რომელიც აშკარად თვითკონტროლის სასარგებლოდ იხრება, სწორედ ამ კონტექსტში უნდა იქნეს გააზრებული.

პასტა შეშეღიძე
ახალი ეკონომიკური სკოლა –
საქართველოს პრეზიდენტი

ლომ პალმერის წინასიცყვაობა*

„მაქსიმუსიდან: საკუთარი თავის ფლობა და არავითარი მერყეობა; სიხალისე ყოველთვის და განსაკუთრებით ავადმყოფობისას; ბედნიერი ხასიათი, მოკრძალება ღირსებასთან, გასაკეთებლის წუნუნის გარეშე კეთება“.

მარკუს ავრელიუს ანტონიუსი, „ფიქრები“¹

ვინ ვარ მე? რა არის თავისუფლება და როგორ მივაღწიო მას? რა არის კარგი ცხოვრება და როგორ მივაღწიო მას? როგორ გავხდე თავისუფალი და პასუხისმგებელი პიროვნება? რა დამოკიდებულებაში ვარ სხვებთან? როგორ უნდა მოვიქცე მე და რას შეიძლება ევლოდო სხვებისგან? რაზე ვარ პასუხისმგებელი და რაზე არა?

შეიძლება ადამიანმა გამოიყენოს ძალა სხვების სამართავად? როგორ მართავს სახელმწიფო ადამიანებს და რა არის ამის შედეგი? რას ნიშნავს თვითკონტროლი, მისი სიკეთე და ფასი, და როგორ მივაღწიო მას?

ახალგაზრდები განსაკუთრებით ხშირად სვამენ ამ შეკითხვებს, მაგრამ არა მხოლოდ ისინი; ამ შეკითხვებს სვამს ყველა ასაკის ადამიანი.

* ტომ პალმერი არის ლიბერტარიანელი თეორეტიკოსი და მწერალი, აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში მოქმედი კატონის სახელობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და ატლასის ქსელის ვიცე-პრეზიდენტი, პოლიტიკური მეცნიერების დოქტორის ხარისხი დაიცვა ოქსფორდის უნივერსიტეტში.

სწორედ მათზეა ეს ჰატარა წიგნი. ასეთი შეკითხვები არ წარმოადგენს მხოლოდ ეთიკისა და მეტაფიზიკის პროფესორთა განხილვის საგანს; ეს კითხვები უჩნდება ყველა მოაზროვნე ადამიანს. თქვენც განუხებთ ისინი. მეტიც, თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის გააზრება არ არის რომელიმე ვინწრო ინტელექტუალური დარღის ამოცანა; მათი სერიოზული განხილვა აუცილებლად მოითხოვს ეკონომიკისა და ისტორიის, ფსიქოლოგიისა და ნეირომეცნიერების, სოციოლოგიის, ხელოვნებისა და მრავალი სხვა სპეციალობის მოშველიებას. და ყველაფერ ამას თქვენ შეხვდებით წინამდებარე წიგნში.

მასში გამოთქმული აზრები დაგეხმარებათ, მეტი ჰარმონია შეიტანოთ თქვენს ცხოვრებაში. დაგაფიქრებთ იმაზე, თუ როგორ გახდეთ უკეთესი მეგობარი, თანამშრომელი, სტუდენტი, ოჯახის წევრი, მოქალაქე, მოაზროვნე, ბიზნესპარტნიორი... მოკლედ – როგორ გახდეთ უკეთესი ადამიანი. თქვენ შეგიძლიათ თავისუფალი ცხოვრების მიღწევა. თავისუფლება არ არის უმიზნო უპასუხისმგებლობა, პირიქით, ის არის პასუხისმგებლობასთან განუყოფელი. ორივეს გაცნობიერება და გათვალისწინება ადამიანის დიდსა და ღირსეულ მიღწევას წარმოადგენს.

თავისუფლება და პასუხისმგებლობა დაგეხმარებათ აგრეთვე თავისუფალი საზოგადოების შექმნასა თუ განმტკიცებაში. თავისუფლების ქვაკუთხედი არის იმის გაცნობიერება, რომ ჩვენ საზოგადოებასა თუ თემში თავისუფლად ვცხოვრობთ ერთად და არა გამოცალკევებულად. ეს ნიშნავს იმას, რომ ისევე, როგორც ჩვენს თავისუფლებას ჰატივს სცემენ სხვები, ჩვენც უნდა ვცეთ ჰატივი სხვების თავისუფლებას. ჩვენ ვიღებთ სხვების თავისუფლების ჰატივისცემის პასუხისმგებლობას. თავისუფლად ცხოვრება ნიშნავს სხვების ისევე, როგორც საკუთარი უფლებების ჰატივისცემაში ცხოვრებას. თავისუფლად ცხოვრება ნიშნავს სახელმწიფოს მექანიკურად დამორჩილებაზე უარის თქმას და საკუთარი არჩევანისადმი პასუხისმგებლობით მოჰყურობას.

ეს არ არის კრებული საიდუმლო ჭეშმარიტებებისა, რომ-ლებიც მათი გაცნობისთანავე ყველა თქვენს პრობლემას გადა-გაწყვეტინებთ.

სინამდვილეში, საკუთარ ცხოვრებაში თვითკონტროლის, თავი-სუფლებისა და პასუხისმგებლობის დამკვიდრება განსაზღვრულ ძალისხმევას მოითხოვს, რომელიც, მეორე მხრივ, სავსებით შესა-ბამება თქვენს შესაძლებლობებს. ეს ძალისმევა შეიძლება იყოს გმირული, მაგრამ ეს სულაც არ არის აუცილებელი; ჩვეულებრივ, საუბარია პასუხისმგებლობის ჩვევების თანდათანობით გამომუ-შავებაზე.

შესაბამისად, წიგნის რამდენიმე თავში საუბარია პრაქტიკასა და მითითებებზე, რომლებიც გვეხმარებიან ამ ჩვევების შეძენაში. ისინი გვაჩვენებენ თუ რა სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის თვითკონ-ტროლის გაუმჯობესებას და გვთავაზობენ თვითკონტროლის მიღ-წევის კონკრეტულ მეთოდებსა და ხერხებს, ისევე როგორც სხვა ინფორმაციას, რომელიც მეგზურობას გაგინევთ თავისუფლებისა და პასუხისმგებლობისკენ მიმავალ გზაზე.

სოციალური პრობლემების გადაწყვეტა მოითხოვს ძალის-ხმევას, ხოლო ძალისხმევის ეფექტიანი კოორდინაცია თავის მხრივ საჭიროებს თავისუფლებას, მას კი ჩვეულებრივ აფერხებს – ხელის შეწყობის ნაცვლად – იძულება.

სხვადასხვა თავი საინტერესოდ მოგვითხრობს თვითკონ-ტროლის ისტორიასა და იმას, თუ როგორ ხდებოდა წარსულში და როგორ შეუძლიათ მომავალში რთული პრობლემების ამოხ-სნა თავისუფლალი და პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი ადამიანებისგან შემდგარ საზოგადოებებს; შესაბამისად, როგორ შეგვიძლია თავისუფლების საშუალებით მშვიდობისა და კეთილ-დღეობის მიღწევა.

წიგნის ყოველი თავი დამოუკიდებელი ნაშრომია და შეიძლება ცალკევ განიხილოთ. შეგიძლიათ მათი ნებისმიერი მიმდევრობით წაკითხვა; არც ერთი თავი არ გულისხმობს რომელიმე წინა თავის

გაცნობას. არ არის აუცილებელი წიგნის მთლიანად წაკითხვა. მისი ზოგიერთი ნაწილი თქვენ შეიძლება სხვებზე უფრო სახალისოდ მოგეჩვენოთ. ეს თქვენი ცხოვრებაა და შეგიძლიათ იგი თქვენს გემოზე განკარგოთ. თუმცა, იმედი მაქვს, რომ თქვენი ცხოვრების რომელიდაც მცირე ნაწილს ამ წიგნის თუნდაც რამდენიმე თავზე დახარჯავთ, რადგან იმან, რასაც ისინი გთავაზობენ, შეიძლება მეტი თავისუფლება და – რატომაც არა – მეტი ბედნიერება შემოიტანოს თქვენს ცხოვრებაში.

ზომ პალიტიკი
ამსტერდამი, ჰოლანდია
2016 წლის 30 მარტი